

წიგნი კანონები




№ 2
1938.წ.
ფასი 60კ.
ნახ. ზ. ისაევს

მწარე ბაკვეთილი

კუსი თეთრგვარდიელი: — წითელი არმია?! მაგათ ჩემსავით ვერაფერ იცნობს.

იაკონელი ოფიცერი: — გეტუბა რომ იცნობს! მეც მეცნობება: მეც შენსავით „მინახსოვრეს“ ვოლოჩაუვის დღეებში.

10/11 849
71



ინგლისის მთავრობის ლმობიერება აგრესორთა მიმართ საზღვარს სცილდება. თავისი პოლიტიკით ინგლისი ხელს უწყობს აგრესორებს მათი იმპერიალისტური გეგმების განხორციელებაში (გაზრდისთვის)

ორშაბათ დღით, როდესაც მისტერ ჯონჯოლი ჯერ კიდევ ლოგინში იწვა და აზმორებდა, გაისმა ტელეფონის ზარი.

მისტერ ჯონჯოლმა ზანტათ გაუყარა ფეხები ფოსტლებში და აპარატთან მივიდა.

— ალო, რაო?... ვიბლარტარში ფაშისტები თავს დაესხნენ ჩვენ გემს? როგორ გაბედეს. ეხლავე მივიღებ სასტიკ ზომებს...

მისტერ ჯონჯოლმა სასწრაფოდ დაიბარა თავისი პირადი მდივანი.

— ეხლავე შეადგინეთ ნოტა ფრანკოს სახელზე:

...„მოვითხოვთ დამნაშავეთა სასტიკ დასჯას და ზარალის ანაზღაურებას“...

— „მოვითხოვთ... უკეთესი იქნება უფრო ზრდილობიანათ მივმართოთ. გადაასწორეთ — „გთხოვთ“.

— სმიტ! — მიამახა მისტერ ჯონჯოლმა მდივანს, როცა უკანასკნელი კარებში გადიოდა. როგორ ფიქრობთ: სიმაკრე არ იქნება დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნა? ჰა?

— მაშ გადავაკეთოთ ეს ადგილიც.

— აჯობებს. დაწერეთ მოკლედ: „გთხოვთ ინციდენტის გამოძიებას...“

პირველ შემთხვევისათვის ესეც საკმარისია.

სამშაბათს მისტერ ჯონჯოლს ცნობა მოუვიდა, რომ სინგაპურის ახლოს იაპონელებმა ჩასძირეს ინგლისის გემი. ჯონჯოლი ბზიკნაკბენივით წამოვარდა ფეხზე.

გამოუძახა მდივანს:

— სმიტ, ის გემი დაზღვეული იყო თუ არა?

— დიაღ, მისტერ!..

— შენ პირს შექარი, თუ ასეა. მისწერეთ იაპონიის სარდლობას, რომ ჩვენ ვსწუხვართ, რომ მათ უცაბედათ შეცდომა მოუვიდათ. არ მინდა ვინმეს ვაწყენიო ტყუილა უბრალოდ. მოთმინებითა შენითა...

ოთხშაბათმა კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ამბავი მოიტანა: „იტალიას ეგვიპტეში ესკადრა გაუგზავნია, ინგლისის ინტერესები საფრთხეშია.“ — იუწყებოდა დებემა, რომელიც მისტერ ჯონჯოლს მიართვეს.

მისტერ ჯონჯოლი ჩაფიქრდა.

— იტალია-გერმანია-იაპონია ხომ მოკავშირეებია! იტალიასთან ბრძოლა რაში გამოგვადგება. ბერლინიც დაგვემდურება და ტოკიოც. დაჯდა და მისწერა მუსოლინს:

„...გაგიგე თქვენი ესკადრის მეგობრული ვიზიტი ეგვიპტეში და ვწუხვარ, რომ მე საშუალება არ მქონდა იქ ვყოფილიყავი თქვენი სახელოვანი მეზღვაურებისათვის რომ პატივი მეცა“... გათენდა ხუთშაბათი. ეხლა გონკონგოდან იტყობინებოდნენ. რომ იაპონელებმა დესანტი გადმოსხეს და კანტონს ემუქრებიან. „ინგლისის პრესტიჟი საფრთხეშია“ — იწერებოდა ინგლისის საელჩო გონკონგოდან.

— ისევ იაპონელები... დალაზგროს გამჩენმა. როდემდი ვაგრძელებდა ეს? მისტერ ჯონჯოლი შეუდგა ნოტის წერას:

„... უკეთეს ინგლისის ინტერესები შელახული იქნება. ჩვენ იძულებული შევიქნებით მოვითხოვოთ...“

— რა უნდა მოვითხოვოთ? პასუხი? დამნაშავეთა დასჯა? ჯარების უკან გაყვანა? უარესი არ დაგვმართონ იმ ხელაღებულმა იაპონელებმა.

...„მოვითხოვთ, რათა შემდგომში მაინც არ გადმოსხათ დესანტი... იმაზე მეტი, რაც საჭიროა“...

პარასკევს მოვიდა ცნობა. რომ ნანკინის ბომბარდირების დროს მოჰკლეს ორი ინგლისელი მოქალაქე და ერთი დასქრეს. იაპონიის სარდლობა ბოდიშს იხდიდა.

იმ დღესვე თემთა პალატაში მისტერ ჯონჯოლს მისცეს შეკითხვა, რა ზომებს ღებულობს მთავრობა ასეთ საზიზრობის წინააღმდეგო.

— ჯენტლმენებო! მე დღესვე გაუგზავნე სასტიკი ნოტა ჩინეთის მთავრობას — განაცხადა მისტერ ჯონჯოლმა.

— ჩინეთის მთავრობას?!

— დიახ, დიახ. ინციდენტი მოხდა ჩინეთის ტერიტორიაზე. ცხადია, რომ ჩინეთის მთავრობამ ვერ უზრუნველყო ჩვენი მოქალაქეთა უსაშიშროება. ხვალვე ვაგზავნით ჩინეთში ორ სამხედრო გემს...

შაბათის განმავლობაში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გერმანიის წყალქვეშა ნაგემა „უცაბედად“ დაუშინა ყუმბარები ინგლისელ მეთევზეების ნაგებს, „უცნობი“ სახელმწიფოს ნაღმოსანმა ხმელთაშუაზღვაში გაჩხრიკა ინგლისის გემი და ინდოეთში აღმოაჩინეს ფაშისტური შეთქმულება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ „უცნობი“ სახელმწიფოების საელჩოები.

კვირას, ჯონჯოლი თავის ვილაში ისვენებდა და რადიოს უსმენდა. რადიომ აცნობა მას საშინელი ამბავი:

ლონდონის შუაგულში პოლიციას აღმოუჩენია იარაღის საწყობი, სადაც ყოფილა „უცნობ“ სახელმწიფოთა სისტემის ტყვიამფრქვევები, ყუმბარები, ავტომატური თოფები.

ვილაც „უცნობი“ სახელმწიფოს სამხედრო გემებს გამოუცხადებდათ ინგლისის მთავარი სრუტეების ბლოკადა.

იაპონიის ზღვაში „უცნობ“ სახელმწიფოს წყალქვეშა ნაგებს ჩაუძირავთ ინგლისის შვიდი გემი.

მისტერ ჯონჯოლის მოთმინების ფილა აიგსო. ნერვების დასამშვიდებლად მოითხოვა აბაზანა მოემზადებიათ მისთვის.

იწვა ჯონჯოლი აბაზანის თბილ წყალში და ამბობდა:

— აი ერთადერთი წყალი, სადაც მე ჯერჯერობით თავისუფლად შემიძლია ვიგრძნო თავი.

ლ. იმედი

საქონა მოთხოვნები

— ვანო, უნდა ერთი საიდუმლოება გითხრა და თუ ძმა ხარ არავის უთხრა. თორემ ხომ იცი...

— რას ამბობ, ბავშვი ხომ არა ვარ! მაინც მითხარი ვინ გადმოგცა ეს საიდუმლოება?

— მე, საიდუმლო? გრიშამ გადმოგცა.

— ნეტავი გრიშას ვიღამ უთხრა?

— გრიშას, უთხრა სერგომ, სერგოს — საშამ, საშას — ვალოლიამ, ვალოლიას — მიშამ, მიშას — იოსებმა, იოსებას — კოლიამ და ასე...

ჰა, იცოდე არავის უთხრა... საიდუმლოებაა...

* * *

— ვიგო, რა ამოძრავებს მატარებელს?

— არ ვიცი კაცო, ორთქლი.

— რას ამბობ, ბავშვი ხომ არა ხარ, ორთქლისაგან რომ იყოს, მაშინ ჩვენი აბანოები ქუჩებში უნდა დაზობდნენ...



ინგლისელი დიკლომატი: (გერმანელ დალაქს) — იაპონური „ფუნჯით“ გახაზულს და გერმანული დანით გაპარსულ ბრიტანულ ლომს ძალიან მოუხდება იტალიური კომპრესი, მაგრამ ოთხიოდე ღერი ბალანი კიდევ დაგრჩათ გახაპარსი, პატივცემულო ჯენტლმენო!

— მანია, სად არის ჟენია?

— ორი საათი იქნება რაც 5 წუთით გარეთ გავიდა...

* * *

— რატომ სტირი უჭრა?

— შუბლი კარებს მივარტყი.

— აბა მიჩვენე, როდის მივარტყი!

— გუშინ საღამოთი.

— მერე დღეს რატომ სტირი?!

— იმიტომ, რომ გუშინ მარტო ვიყავი, ვისთან უნდა მეტირა!..

* * *

— ვალოდია, მათხოვე ერთი წიგნი წასაკითხავად.

— ნუ გეწყინება, დაფიცებული ვარ, რომ არავის მივცე წიგნები...

— რატომ?

— იმიტომ, რომ... წიგნის წამლები არ ფიქრობს დაბრუნებას; აი შეხედე ჩემს წიგნების შკაფს. ეს წიგნები სულ წამოღებულნი მაქვს სხვებისაგან წასაკითხავად...

* * *

— შეილო, წადი ჩვენს მეზობელს გამოართვი ორკილოგრამიანი ვირი, ეს ბომბა უნდა ავწონო. — უთხრა მამამ შეილს.

— მამაჩემო, ჩემი მარჯვენა ფეხი იწონის სულ ხუთ კილოგრამს, რაღა იქ წავიდე.

— შეილო, წადი მომიტანე მეტრიანი, ეს ჩიოთი გავზომოთ. ვნახო რამდენი დარჩა.

— მამაჩემო, ჩვენი კატა გავზომილი მყავს თავიდან კულამდე სრული ნახევარი მეტრია.

— შეილო, გადი გარეთ, ნახე წვიმა ხომ არ მოდის...

— ჯეპა ჯეპა ჯეპა...

— რატომ უძახი ძალს?

— ვნახო თუ სველია ალბათ წვიმა იქნება... მე რაღას გავიდე გარეთ.

— წადი წყალი მომიტანე დავლიო, ძალიან მომწყურდა.

— მამაჩემო, ამოდენი დავალებები მე შეგისრულე და რა იქნება ევ რომ შენ შეასრულო?

ა. კაგოვი.



მოსკოვში...



ბაკურიანში...



თბილისში...



ნ.ბ. ღონისა.



მოსკოვი...



ბაკურიანი...



თბილისი...

კლტა კალიამ დაიკვება, რომ არ მეზარებოდეს იერუსალიმს ფეხით წავიდე დღეს.
შიშტიბუჯას წერილიდან: „ბიძია“ მენშევიკები“.

ნატანებიდან მოდიოდნენ ისინი. თან ერთი დღის საგზალი მოკ-
ჭონდათ: ნახევარი გირვანქა ფურნის ქაღი და ამავე წონის ამე-
რიკული ლერლილი, რომელიც რკინისგზაზე აკრიფეს სამტრედიიდან
კობიტნარამდე.

თუ მათი ნატანებში ყოფნის მიზეზი გნებავთ შეიტყვით. — სულ
უბრალოა: სავაჭროდ იყვნენ ქუთაისიდან ნატანებში წასულნი —
კონტრაბანდა მიჰქონდათ, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა; სუფსას რომ
უახლოვდებოდნენ, ბუჩქებიდან ტყვიამფრქვევის კაკანი მოისმა;
ოთხჯერ იგრიალეს ზედიზედ ხელყუმბარებმა და საომარი წესით
ფერიშზე გადმოსულმა სახალხო გვარდიის ათასეულმა ვაშას ძახი-
ლით ალყა შემოარტყა ჩვენს გმირებს.

— დაგვინებდით! — გაისმა ოფიცრის ბრძანება. შიშტიბუჯამ
და ვასტაბუჯამ შიშისაგან თავზარდაცემულებმა მუხლებში ჩაი-
კეცეს.

— გაჩხრიკეთ! — კვლავ ბრძანა ოფიცერმა.



კონტრაბანდისტებს საქონელი ჩამოაჭოვეს და გასინჯეს: ერთი
კონა ბაკისუნური პრასი აღმოაჩნდათ, 25 კვერცი (აქედან 21 ლა-
ყე) და ნახევარქათამი.

— ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა ოფიცერმა კონტრაბანდისტებს.

— სოვდაგრები, ბატონო!

— მერე და ვინ მოგვით თქვენ ექსპორტის უფლება? საზღვარ-
გარეთ მიგაქვთ ეს საქონელი, არა? იცით თუ არა თქვენ, რომ სა-
ქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამ-
ხედრო სამინისტროს თითოეული კვერცი მილიონი უღირს?

— მაშ, თითო კვერცხს ჩვენ ნახევარ მილიონად გიანგარიშებთ.
ბატონო! — ამოილულლულა შიშტიბუჯამ.

— ნახევარი მილიონი სილა მაგათ! — ბრძანა ოფიცერმა და
კონტრაბანდისტებს იმდენი ურტყეს, რომ როცა გონზე მოვიდნენ,
მათ გვერდით დარჩენილ კვერცხების ნაჭუქების დათვლაც კი ვე-
ლარ შესძლეს.

ამ ფათურაკის შემდეგ თვით ჩვენმა გმირებმა განიზრახეს კონ-
ტრაბანდისტების წინააღმდეგ ბრძოლა: ლანჩხუთის მახლობლად
მოხუც გლეხს დაუხვდნენ და ნახევარი გირვანქა ფურნის მქაღი წა-
ართვეს.

მოჰქონდათ ნადავლი ჩვენს ბიჭებს და მოიმღეროდნენ:

— ვაი, ვუი ნატანებს, კვერცი არ გაგვატანეს...

დაილაღნენ. რკინისგზის პირას ჩამოსხდნენ.

— შიშტიბუჯა, რა კარგი იქნება, ბიჭო, ახლა მაგ მენშევიკე-
ბის მთავრობამ, რომ მანიფესტი გამოსცეს და ჩვენი კვერცხები
დაგვიბრუნოს!

— ახლა იოცნებე, ბიძია, ახლა! მაშინ ვერ ამოიღე ხმა, ავაზა-
კურად რომ დაგვხვდნენ და გაგვძარცვეს?!

— მე შენ ვიყურებდი, თორემ...

— თორემ რას იზამდი?

— არ ეცემნათ, მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი.

ამ ბაქიბუქში არხეინად ჩაეძინათ ჩვენს ბიჭებს.

ნახევარი საათის შემდეგ, გამოღვიძებისას, ამბავი ახარა შიშ-
ტიბუჯამ ვასტაბუჯას:

— რა სიზმარი ვნახე, ბიჭო, რა სიზმარი!

— ჰო, რა ნახე?

— ვებერთელა გოდორი ვნახე, წყალს მიჰქონდა, შიგ ჩვენი
მთავრობის მინისტრებმ იხდნენ, თავიანთი ნაცნობ-ნათესაენიც
თან ჰყვანდათ. მეც იქ ვიყავი. ნეტა გენახა რა დოირანში ვიყავით!
ისე გამდიდრებულყო მენშევიკების მთავრობა, რომ თითო კაცს,
თითო კაცი მქაღი დაგვირიგა. შევექცევოდით იმ მჭადს. ნიჩბებს ვუს-
ვამდით და მივიმღეროდით:

— ზესტაფონო, ზესტაფონო, გზორდებით.

შორს მივდივართ, შორს მივდივართ, მშვიდობით... — მქაღი რა
უყავი ბიჭო?!

— რავა? შენ ერთი კაცი მქაღი გაათავე და იმ ნატანშიც წილი
გინდოდა დაგელო, ბიძია? რა ვუყავი და შევატყემლისკვერე.

წამოვიდნენ. დანაყრებული შიშტიბუჯა აქლემივით ყელმოღე-
რებული მოალაჯებდა — ვასტაბუჯა კი ლასლასით მიკრუსუნობდა.

— ე, ბიჭო, ძროხა. — ამოიღნავლა ვასტაბუჯამ.

— რა მერე, დავკლათ?

— დავკლათ კი არა, დავიჭიროთ და მოვწველოთ; მხოლოდ
ჯერ მე მიმიშვი.

— დიფში, ფში... დიიფშიფში... — დაუყავა ვასტაბუჯამ
ძროხას: — სად მირბინარ, შე პატრონსაკვდავო!

— ე ბიჭო, ვასტაბუჯა, უკნიდან დაუარე, უკნიდან! — გაჰკო-
და შიშტიბუჯა.

ვასტაბუჯამ უკნიდან დაუარა ძროხას და კუდში მაგრად წაა-
ლო ხელი, მაგრამ ძროხა უფრო ჰკვიანი გამოდგა იმათზე; მისი
ჯიშის შეუფერებელი რამ უზრდებოლა ჩაიღინა: ერთი ლაზათი-
ნი წიხლი სდრუხა ვასტაბუჯას და მოჰკურცხლა.

ვასტაბუჯა უგრძობლად დაეცა მიწაზე და ხელში ძროხის კუ-
დი შერჩა.

მეგობრის დაკარგვის მიუხედავად, შიშტიბუჯას ფრონტი არ
მიუტოვებია: დაკარწახებული გამოუდგა ძროხას და მანამდე მის-
დედა უკან, სანამ მთელი ქალები არ შემოარბენინა. ბოლოს კი,
როცა ძროხა დაიქანცა და კომპრომისამდე მივიდა, ვიღაც არამ-
კითხემ შეუშალა ხელი შიშტიბუჯას. ეს „არამკითხე“ ძროხის პატ-
რონი გახლდათ.

— ყმაწვილო, რამ გაგამწარა ასე, ეგ ულაყი კაძახი, რომ ძრო-
ხას ასდევნებინარ?

— ამხანაგი მომიკლს, ამხანაგი, დევივით ვაყვაცი წაახდინა. —
ბრალი დასდო შიშტიბუჯამ.

— კი მარა, ყაჩაღი და დამცემი არასდროს ყოფილა ჩემი ძრო-
ხა და დღეს რა ღმერთი გაუწყრა?



— არა, ბატონო, ცოტა ჩვენი ბრალიც კი იყო, მოწოვა გვინდოდა და...

— რაცხა გინდოდათ კი ვიცი მე; ვის 'გაუგონია მკვე ძროხის მოწოვა? — და ძროხის პატრონმა შიშტიბუქას ისე ბარაქიანად უთაყვანა კომბალი თავში, რომ ძროხის წიხლი ვასტაბუქასათვის წაფეშქეშები, მონაგონი იყო მასთან...

* * *

ახლა შიშტიბუქა და ვასტაბუქა ქუთაისის ყაფანზე იყვნენ აღესმიცემობის ორომტრიალში გართულნი. თან სავაჭროდ გამოტანილი ჰქონდათ საქონელი: მკითხველებისათვის უკვე ცნობილი ძროხის კული, კრუხის საბუდარი, ლეკურის ქარქაში და ქოლგის ტარი. — აბა, აქეთ, დედალი კრუხის საბუდარი! — გაჰკიოდა შიშტიბუქა.



— ერთილა დარჩა ძროხის კული, ბუზების მოსაგერიებელი! — ზანს აძლევდა ვასტაბუქა და ბოლოს ერთხმად შესძახებდნენ:

— აშენდა ჩვენი მუშტარი!

მაგრამ ასაშენებლად არავის ჰქონდა საქმე: ქათამი აღარავის ჰყავდა და საბუდარი ვის რად უნდოდა?! ბუზები, რომლის მოსაგერიებლად ძროხის კულს ასაღებდნენ ჩვენი ვაჭრები, სურსათის „სიუხვის“ გამო სიცოცხლეს შემომწყურალიყვნენ.

— ბიჭო შიშტიბუქა, დღესაც რომ არ გაიყიდოს ეს საოხრე, რაღა ვუყოთ ჭოჭინას, ცარიელ-ტარიელი ხომ ვერ მივალთ?!

— შე სალავეთძაღლო, სიმშვილისაგან პირში ობი გაგიჩნდა და რა გეცოლება?

— შიშტიბუქა! მე შენ ჰქვიანი კაცი მგონიხარ და ადამიანის მოკვლა რომ პრასაზე იაფი ღირს ახლა, არ იცი?

— რაეა, კაცო!

— რაეა და რომ მშველიკოს ვინმემ და ფეხი გამაფშეკინოს, ასე უმანკოდ გინდა გამისტუმრო ამ წუთისოფლიდან?! აბა, აქეთ, კაი ლეკურის ქარქაში, ძროხის ტარი, ქოლგის კული!...

— რას ბოდავ, ბიჭო!

— რა ვიცი, ტარაბუა მესხმის...

— ვასტაბუქა, ბიჭო, გასაგებელია, როგორ შეაცდინე ასეთი შტრედლივით გოგო, რომ დაიყოლიე ცოლობაზე?

— სიმშვენიერე, ხომ იცი, შიშტიბუქა, ყველ-ს იზიდავს და ატყუებს. ვაჟკაცი კაცი ვარ და დამხარბდა.

შელამებამდე ვაჭრობდნენ შიშტიბუქა და ვასტაბუქა, მაგრამ ვერაფერი გაასაღეს. სახლში წასვლას აპირებდნენ, რომ ვიღაც ღვთისნიერი გამოჩნდა. ბონებით გატენილი ტომარი ჰქონდა ზურგზე წამოკიდებული და დაღლილობისაგან ოფლად იღვრებოდა.

— ჰყიდით, ბიჭებო, მაგ ხარახურას? — ჰკითხა ფულის პატრონმა.

— რა თავს იღებ ვიღაცა ხარ! რა არის ხარახურა! მიდი მიათშოათვალიერე და ჩვენზე უკეთესი საქონელი თუ ვინმეს უნახო ამ ყაფანზე გამოტანილი, მუქთად მოგცემ ამ საბუდარს. — გაცეცხლდა ვასტაბუქა.

— ასე, ნარდად რა მოგცეთ? — შეეკითხა ფულის პატრონი.

— ყველაფერში? რაც მაგ ტომარში გაქვს!

ფულის პატრონი დაყბულდა, საქონელი გამოართვა, გატენილი ტომარი დაავდო და მიმართა:

— ეგ ფული რომ მძიმე არ იყოს და ტარება არ მეზარებოდეს ერთ კაპეიკსაც არ მოგცემდით მაგ ნაგავში.

სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგნენ შიშტიბუქა-ვასტაბუქა. მილიარდერებმა პირდაპირ ბაკისუბნისაკენ მოჰქუსლეს.

* * *

— ვასტაბუქა — შეშა, ვასტაბუქა — წყალი, ბიჭ-ბიჭოთქვა ვასტაბუქა, ცოცხალს მომისწარი...

შემოესმათ ბაკისუბანში შესვლისთანავე ვასტაბუქას საცოლოს — ჭოჭინას სიმღერა.

* * *

უსაზღვრო სიხარული და აღტაცება გამოიწვია მიჯნურთ შეხვედრამ, ენით აუწერელი „ქორწილი“ გადაიხადეს რაც ჰქონდათ ფული დახარჯეს, ფულის ტომარი გაჰყიდეს და ერთი იმდენი ფული კიდევ აიღეს. სამ დღეს მამა-პაპური სიმღერით ჭერს აყრუებდნენ.

ოჯახად დიდებულად მოეწყო ვასტაბუქა. ჭოჭინამ ერთი ბრიტანული ჯორიც დაახვედრა.

ასე უთხრა:

— შენ რომ წახვედი, იმის შემდეგ ერთი ინგლისელი მეყენა მდგმურად და იმან მისახსოვრა.

— სხვა ხომ არაფერი ვისახსოვრა იმ ურჯულომ. — შეესიტყვა ვასტაბუქა, მაგრამ ამ სიტყვებმა ისე გააცოფა ჭოჭინა, რომ საქმრო კინაღამ მოგვიბრეგვა.

მას შემდეგ არც ჭოჭინას და არც ვასტაბუქას კრინტიც აღარ დაუძრავთ ინგლისელის შესახებ; იმიტომ უფრო, რომ განუსაზღვრელი სარგებლობა მოუტანა ბრიტანულმა ჯორმა. ამ სარგებლობის შესახებაც მოგახსენებთ.

მაშინდელი განვითარებული ტრასპორტის პირობებში რეკორდი ცოცხალ გამწევ ძალას ეჭირა და ვასტაბუქას ბრიტანულმა ჯორმა იხსნა მეგობრები სიღუბნისაგან.

ქუთაის-სამტრედიის სვლაგეზით ცისმარა დღეს დააჩაქჩაქებდნენ ამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ ჯორს. აჰკიდებდნენ დაკვეთით მიღებულ ბარგს. მგზავრებს თავიანთ საკუთარს ნიხრით ახდევინებდნენ ფასს და ჯორს უკან ერთად მიმავალნი ხშირ-ხშირად კითხულობდნენ ბრიტანული პირუტყვის კულის თავზე მიკრულ აბრას:

ქუთაისი-სამტრედია პირდაპირი, ჩქარი.



ზოგჯერ ოთხ გზას აკეთებდნენ დღეში. ხანდახან თიოონაც მშველოდნენ ჯორს. დილით ადრე, როცა ქუთაისის მატარებელს პირველ ზარს მისცემდნენ, მაშინ იძვრებოდა ჩვენი გმირების სახელოვანი ცხოველი. ვიდრე მატარებელი რიონში ჩავიდოდა, მათ ორი გზა ჰქონდათ გაკეთებული ქუთაის-სამტრედიის შორის.

ქორწინებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ კიდევ ერთმა ახალმა ამბავმა გაახარა ბრიტანელი ჯორით გამდიდრებული ოჯახი.

ვასტაბუქას ვაჟი შეეძინა, რომელმაც დაბადებისთანავე ბრიტანული აქცენტით მორთო კნავილი.

ასე „ტკბილად და უდარდელად“ ცხოვრობდნენ ჩვენი გმირები, შიშტიბუქას მიერ ნახული სიხმრის გოდრისა და მთავრობის მინისტრთა „საპატიო“ ნაოსნობისა სიცხადეში ახდენამდე.

მის. გოგიაშვილი, გ. ივანიშვილი.



ნახ. ან. კანდელაკისა და გ. ისაევის.

მე-46 საშუალო სკოლის შენობას რემონტი სჭირდება. მაგრამ ავტორიტეტ-
ბას არაფერ აქცევს.

ბიზლირთაჲს



— გამჩნევ, რომ ვაკვეთილი არ იცი!..
— ვიცოდი მასწავლებელო, მაგრამ ავური დამეცა თავზე და
დამავიწყა.

მ ო ა შ ვ ე დ ე თ ე რ ო ს ა ე ს

(სოფ. მერევი, ჭიათურის რ.)

რუსულის მასწავლებელს
„ძია“ თედოს, ლაბაძეს
თვალი მუდამ უჭირავს
ღვინის სმაზე, ყლაპაზე.

მხიარულობს, ქეიფში
ხარხარებს, ეცინება,
მეორე დღეს სკოლაში
პარტასთან ეძინება.

ჯერ დირექტორს ლაბაძის
ხერხევა არა სმენია,
თორემ თედოს „მეთოდი“
განა მოსათმენია?

შენი შიშით ნიანგო,
ორგულთ გააქეთ კანკალი,
მოაშველე თედოსაც
შენი ბასრი ჩანგალი.

კუკარაჩა.

სოფ. ცემის (ბორჯომის რაიონი) სოფსაბჭოს

საგზაო სექცია

მ ქ ე ბ ს თ ა ვ ს

სექციის ხელმძღვანელისათვის (კაცის თავის
ვერ შოვნის შემთხვევაში, შეიძლება ცხვრის თავის
შეძენაც).



— გაფრთხილებ, თუ მურაბა კიდევ მოიპარე, მოგაწყურებს და წყალს არ დაგაღვინებ.

— რად მინდა! შიგაც ბლომად ურევია! როდის იყო, რომ თფილვაკრობის ნოქარი უწყლო მურაბას გვიწონიდა?



დათიკო მელაშვილს გვიან გაეღვიძა: მთელი ღამე კარტს თამაშობდნენ მის ოთახში. დათიკო ჰამ ტომბის ფულს იღებდა და ჰამაც თითონ თამაშობდა. ამის გამო გვიან დაიძინა და იმავე მიზეზით გვიან გამოეღვიძა.

მამლის ყვირილმა გამოაღვიძა დავითი.
— ყიცილიყო-ო-ო... — ჩაესმა ყურში.
— ყიცილიყო, არა? მე თქვენ აგაყივლებთ! — წამოიძახა ნამძინარეგმა, წამოხტა, ჩაიცვა და სალამიც არ მიუტია თავისი მამისთვის, რომელსაც სახლში საიდუმლო საყასბო აქვს და რომელიც იმ დროს სახაშედ გასაყიდ შეიგნულს ამზადებდა, — დიან, სალამიც არ მიუტია, ისე გაიქცა მილიციაში.
— ვილუპებით, შეგვჭამეს!.. შიამახა მან შორიგეს.

— ვინ შეგჭამათ? — აღუშფოთველად უპასუხა მორიგემ და ოქმის შესადგენად მოემზადა.

— მამალმა...
— მეელმა?
— არა, მამალმა ქათმებმა...
მორიგემ კალამი დასდო.

— შენ, კაცო, სიტხე ხომ არა გაქვს? როდის იყო, რომ ქათამი კაცს სჭამდა!

— გუუბნები, შეგვჭამეს-თქვა. მთელი ეზო მამლებითაა სავესე... შიგა და შიგ დედლებიც ურევია... არის ბატებიც, ინდოურებიც... გუმეფებულა საშინელი ანტისანიტარია... ეზოში გავლა აღარ შეიძლება, ბინებშიც შემოდინან, უსუფთაობით გაავსეს ყველაფერი...

მორიგემ მისამართი ჩაიწერა: ავღვეის ქ. № 32. ქათმების მიმართ ზეფხიზელი დავითი გაუძღვა მილიციის მუშაკს. მათ შორიდან მოესმათ კრიახი.

— ხომ გითხარი! — გამარჯვებულის კოლოთი წამოიძახა დათიკომ. — კრიახობენ, ყვირიან, მამლაცინწობენ... აგვაწიოკეს პატიოსანი მოქალაქენი.

ეზოში ჩავიდნენ. რწმუნებულ ე. ურუშაძეს დაუძახეს.

— რატომ გაქვთ ანტისანიტარია? რა ამბავია ამდენი მამლები?!

— მამლები?
— ჰო, მამლებიც და დედლებიც. რატომ ქმნით ანტისანიტარიას?

— არაერთარი მამალი და არც დედალი მე არ დამინახავს.

— არ დაგინახავს? ახლავე დაგანახვებთ! შეუდგნენ ძებნას, მაგრამ ამ სახლში ქათმები არ აღმოჩნდა, გარდა ერთი მამლისა, რომელიც უკვე დაეკლა პატრონს და ახლა ჰქნია.

— მაშეგ მამალი თქვენი ბრძანდებოდა არა? — ნიშნის მოგებით წარმოსთქვა დათიკომ და მილმუშაკს გადახედა.

— დიან, ჩემი გახლდათ! მერე რა გნებაეთ?

— ეგ იყო, რომ ჰყოიდა დილა ადრიან?
— დაუშვით რომ ჰყოიდა, მერე თქვენ რა?!

როგორ თუ რა? მამლებს ყიდულობს, აყივლებს, ხალხს მოსვენებას არ აძლევს და

კიდევ რა რიხით ლაპარაკობს. მე ვამტკიცებ, რომ ეგ მამალი თქვენ წინასწარი განზრახვით იყიდეთ...

— სრული სიმართლეა. — უპასუხა მამლის პატრონმა.

— ხომ გითხარი! — შესძახა დათიკომ. — რა განზრახვით?

— მინდ საცივი გავაკეთო.

— ტყუილია! მაშ რატომ დედალი არ იყიდეთ?

— დედალი ხვალ იყოს. დღეს, როგორც იქნება, გავიჭირებთ მამლის საცივით...

— არა, მე ვამტკიცებ, რომ საერთოდ აქ სისტემაშია მხოლოდ მამლების ყიდვა, რათა ხალხს მოსვენება არ მისცენ!..

მასპინძელი კარებს უღებს დაუბატოებელ სტუმრებს და როცა ისინი გადიან, ისევ კეტავს.

ასეთ სცენებს ხშირად აწყობს დათიკო მელაშვილი. მეზობელმა რომ ბევრი ნავაჭრი მოიტანოს სახლში, იგი მილიციაში გაობის: „არიქა, ვაჭრობენ. სპეკულიაცია გამეფდაო“.

თითონ დათიკო კი არხეინად სპეკულიანტობს შუშეულობით და განსაკუთრებით პატეფონის ფირფიტებით.

საერთოდ, მთელი ეს ოჯახი სხვების მორალის სადარაჯოზეა, თითონ კი ხსენებულ მორალს სათოფეზე არ იკარებს: დათიკოს დედა მაშოს ის დღე დღეთ არ მიაჩნია, თუ

ვინმე არ გალანძლა, ან მესმის მისი წახიხუბა.

როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში უებარია მილიცია. მას არა ერთი და ორი დათიკოსთანა და მაშოსთანა მოურჯულუბია. მაგრამ მილიციის მეცხრე განყოფილება მელაშვილის მიმართ მალალ სათნობას იჩენს.

— რას უჩივით მაგ დათიკოს! ჩვენ რომ არ ვიყვეთ, აქამდის ყველას დანით ამოგზოცავდით, დაანებეთ თავი. — ეს ისტორიული სიტყვები ეკუთვნის მეცხრე განყოფილების თანამშრომელ გვაზავას.

რა დიდი ნუგეშია საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებიც თურმე მხოლოდ გვაზავას ხათრით არ გამოშვიგნა სპეკულიანტმა, უსაქმურმა და პრიტონის პატრონმა მელაშვილმა.

კიდევ კარგი, რომ გვაზავა მილიციაში მუშაობს და ისიც თბილისში. დაუშვით და იგი დააწინაურეს (რაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია და დაუშვებელი), რაღა ეშველება მაშინ საწყალ მდგმურებს?!

ალღარ-ალღარსან.

მინაწერი: ამბობენ, რომ დავ. მელაშვილს, რომელიც მამლების შეჭმას გადაურჩა მილიციის მთავარსამართველომ სათანადო მყუდრო ადგილი მიუჩინაო. რაღა დაგვრჩენია, ღრმა თანაგრძობას უღხადებს მილიციელ გვაზავას.

ნინაგე.

შობა ღვთისა ქოღობანში

მერე და რა ჩინებულად, რა მოხდენილად იყვნენ შერჩეულნი ეს სამნი ამ საშობაო კამპანიაში! მამა ღმერთის როლში იყო გამოსული სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ბიქტორ ლეჟავა.

ახლა იკითხავთ: ვინ-ღა იყო სული წმინდაო?

შტატით ეს როლი, რაღა თქმა უნდა, ერგებოდა ასრული საშუალო სკოლის დირექტორს, ვასო ჯიბლაძეს, რომელიც ფაქტიურადაც სწორედ ამ როლში გამოდიოდა, როგორც აღნიშნულს სამეულში ყველა უფრო „ნათელმოისილი“ პიროვნება. სოფლელები გაოცებულნი შეჰყურებდნენ ამ სამი პიროვნების სახით, ქვეყანად ღმერთის ამგვარ გამოცხადებას და პირჯვრის წერით (ხელებს კი იქნევდნენ და პირჯვარს იწერდნენ თუ იმუქრებოდნენ შორიდან ძნელი გამოსაცნობი იყო, რადგან ახლო მათ ამ დროს ვინ მიეკარებოდა?).

და მართლაც რომ „სჩადიოდნენ“ თავიანთ თავებით ტაქკაში, ხოლო თავიანთივე უკანალებით კი ისევ „აღმოდიოდნენ“ იმავე ტაქკიდან ზევით, რათა ახლა ამ უკანალებით შთასულიყვნენ“ ისევ იმავე ტაქკაში, ხოლო შემდეგ უკვე თავებით ისევ „აღმოჩენილიყვნენ“ იმავე ტაქკიდანა; ერთი სიტყვით, დელავდნენ, ელავდნენ, ქანაობდნენ ვითარცა დაუსრულებელი ღვთაებრივი დღეობა იგი...

და აი, როგორი სახითა და სტილით შევიდა და აღიბეჭდა წელს 7 იანვარი, ანუ ძველი სტილით, შობაი ქრისტესაი ქოღობნის „ახალს აღთქმულებაში“, ანუ იგივე მატიაწეში:

„და ვიხილეთ ღმერთი იგი სამპიროვანი, მჯდომარე ტაქკასა ზედა თუ შინა (ძნელ გასარჩევი იყო.) და მოქანავე წინაშე თემისა შარასაზედა, ვითარცა ხომალდი იგი უანძო და უაფრო მოყირავე ოკეანეში...“

მანარი ცისა




ნახ. დონია.



— მიშველუთ, ვაქცევი!..



— აჰ, ნეტავ ერთი ფეხი დაუცდებოდეს!..



გურჯაანის რაიონს
დარი უდვას დარული, —
მრავალი ჰყავს მუშაკი
ტრფობით გულგაბზარული, —

მაგრამ კომკავშირისა
ეს ყოფილა მდივანი
სხვაზე უფრო მეტად გვყავს
მიჯნურობით მტკივანი.

თხელიძეა გიორგი
მისი სახელგვარია:
მოგვაგონებს ეს ვაჟი
ველად გაჭრილ ტარას.

მას „ნესტანიც“ აქვე ჰყავს —
გამყრელიძე თამარი, —
„მირავოს“ უხმობენ
ისე კობტა რამ არი.

ის განგანყოფილების
გახლავთ ავან-ჩავანი:
წრიპინა და იქ მისულ
მთხოვნელებზე მჩხავანი...

„ტარიელი“ — (გიორგი)
ლამით, როცა მთვარე ჩანს,
საპაემოდ უყვის
თავის „ნესტან-დარეჯანს“.

კაბინეტში შეიწვევს,
ყელით ყელს ეწებება, —
(ალერსით მუშაობა
დაავიწყოს ეგება —)

მონესტანო თამარიც
სახმილმონადებარი, —
ისე ურევს საქმეებს —
როგორც ლილას — მღებარი.

ცხრამეტ ფრიადოსანის
მან მოწმობა „დათესა“
და მათი პატრონები
აცრემლა და აკვნესა, —

ვინ მოსთხოვა პასუხი,
თავი ვინ გაუჩიჩა?
არვინ, რადგან თხელიძემ
საქმე მიაფუჩიჩა.

მაშ რა ექნა, ტრფობისა
გულს თუ უდღეს „მირავოს“
სჯობს რომ სატრფოს უხვევოს
„საქმენი საგმირონი“...

თინათინობს მათ გვერდით
ბაბაღე ხაზიურიც
(ამ ევროპულ ფიგურას
ცხვირი აქვს აზიური)

ახაშნის საბავშვო ბაღს
„სანიმუშოდ“ განაგებს:
ალმზრდელობის საქმეებს
ურევს და აჩანაგებს.

უზრუნველად სეირნობს,
როს საქმე აქვს მრავალი,
იმ „ნესტან-ტარიელის“
გახლავთ შუამავალი.

ამგვარ ფართი-ფურთობას
სხვასაც ბევრსა სჩადიან,
მაგრამ მე ის მაკვირვებს
ფონს რომ მზინც გადიან.

ჯიუხი

„წკრიღმანი ღაპვიწყაოთ“

ნახ. დონისა



— ჩვენი კოოპერატივის მუშაკებს ფართო მოხმარების საქონე-
ლი მოუტანიათ.

— ნავთი და ასანთი?

— არა! პუდრი, დუხი და ოდეკოლონი...

ცხელ-ცხელი აგებები

გაიაფება

მალაროს კარის (ღუშეთის რაიონი) კოოპერატივის ნოქარმა
რამაზან ნაზლაიძემ გააიფა ფართო მოხმარების საგნები: დუხს
ლირებულს 2 მ. 60 კაპ. ჰყიდის ექვს მანეთად, დილიჯნის ფანარს
ლირებულს 9 მან. ჰყიდის 19 მანეთად. გინება უფასოდ.

საჯარო ნათლობა

სოფ. ხიდისთავის (გორის რაიონი) მამა ქსონოფანტემ საჯაროთ-
მონათლა კოლმეურნეობის წევრი პარტიელი მიხა ნონიკაშვილი. ამ-
ბობენ ნათლობის ხარჯები „მუკის“ ადგილობრივმა ორგანიზაციამ
გაიღო.

ღარაჯთა მოწვევა

სოფ. ტირქნისის (გორის რაიონი) კლუბიდან შირმების, ფარდის
და სხვა ავეჯის მოპარვის გამო კლუბის გამგეობამ ღარაჯად მო-
იწვია თორმეტი ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე გამოცდილი, საქ-
მისათვის ერთგული... ნავაზი.

ამხანაგო ნიანგო!

ამხანაგო ნიანგო, ოფშკვითის (ქუთაისის რაიონი) საშუალო
სკოლის დათვალეურების დროს კედელზე გაკრული აღმოვაჩინე
ქალაღი. ვინაიდან მე არ ვიცი არც ესპერანტო და არც სხვა
უცხო ენა, ამიტომ გთხოვთ გაგვიმარტოთ თუ რომელ ენას ეკუთ-
ვნის აღნიშნული ნაწერი და გთხოვთ აგრეთვე სხვა სკოლების პე-
დაგოგებსაც გააცნოთ ოფშკვითის საშუალო სკოლის პედაგოგების
გამოცდილება.

„გაკვეთილის ცხრილი“

სამშაფათი — მათმათიკა

ხუჩაფათი — გორგაფია

პარასკები — ფის-კუნტურა

ვორშაფათი — ქართულია

ვოთშაფათი — არტმეტიკა

კვირე დღეი — ვიზოდნოი.

ვეიქრობთ, ამხანაგო ნიანგო, რომ თქვენს ლექსიკონში მაინც
აღმოჩნდება აღნიშნული სიტყვები და თუ ეს სიტყვები არ აღ-
მოჩნდეს, ისეთი სიტყვა მაინც აღმოაჩინე ასეთი „უჩიტლების“
„კვალიფიკაციას“ რომ მოუხდება.

კვანტილა.


აგზავნი თეთრი რაშისა

ნახ. განფხსა.

საქართველოს
კავშირთა



1. წითელი არმია ოცი წლის წინათ შეიქმნა იმის გამო, რომ ძღვევამოსილმა თეთრმა გენერალმა თეთრი რაში შეკაზმა წითელ მოსკოვსა და პეტერბურგში შესასვლელად.



2. სამწუხაროდ (მათდა სამწუხაროდ) თეთრი რაშის მხედრები პირველ ამბედრებისთანავე ცულ გუნებაზე დადგნენ „წვიმიანი“ ამინდის გამო.



3. თეთრი რაშის გამოყენება გერმანელებმაც მოინდომეს გეტმან სკოროპაძისკისთან ერთად, მაგრამ „პატივცემულ“ მხედრებს კუღით ქვა ასროლინეს.




4. თეთრი რაშზე დამაგრება ვერ მოხერხეს აგრეთვე ვერც პეტლიურამ და ვერც პოლონელებმა.



5. ჩვენი საზღვრებიდან გაპანლურებული იაპონელები თეთრი რაშთან ერთად ძლივს გადურჩნენ წყნარ ოკეანეში დახრობას.




6. კულამოდუბებული და უცხოეთში გადახვეწილი და საკბილოს მონატრული თეთრი რაში უმუშევრად დარჩა... დამჭირავებელს ელოდებოდა...



8. თეთრი რაში ცირკს მოაშორეს და ესპანეთში წააჩაქაქეს გენერალ ფრანკოს სამსახურად. ჩაშხამდა თეთრი რაშს სამხრეთისაკენ გასერნება, მწარე გამოდგა ფრანკოს სამსახური.



7. თითქოს ბედმა გაუღიმა: თეთრი რაში გენერალმა შეკურთხა შეკაზმა და ცირკებში სათამაშოდ გამოიყენა.



9. ვინაიდან ესპანეთის ფრონტზე თეთრმა რაშმა წინ ვერ გასწია და დუგლადის ცნობილ ჯორივით ერთ იდგილას მიასო ფეხი, ახლა იაპონიაში გადაიყვანეს, მაგრამ იქაც ცხელი დღე დააყენეს ჩინელებმა.



10. რა მოუვა თეთრი რაშს მომავალში? — იკითხავს მკითხველი. მოკლე ხანში თეთრი რაშისაგან მარტო რქები და ჩლიქები დარჩება. ზუსტად რომ ვთქვათ: ჩლიქები დარჩება თეთრი რაშისაგან და რქები კი მისი დაშისტი მხედრის მუზარადისებურ ქულისაგან.



სოფ. მერჯვეის, (ჭიათურის რაიონი) კლუბი უპატრონობის გამო ცხოველების უკმაყოფილოდ შესაფარადაა გადაქცეული.

სამშობიარო კლინიკის ფოიე საესეა ხალხით. კიბეებზე არბიან და ჩამორბიან ფერ-შალი ქალები, დარაჯები, მომვლელი ქალები, რომელთაც მოაქვთ ახალ-ახალი ცნობები და ზადებულთა შესახებ. კიბიდან ჩამორბის დარაჯი.

— ცხვარიაშვილი! ცერცვაძე! კვირკველია! ხულოლოშნიკი! მკრტიანიანი!.. მარგიევი! ალი აბას ხუსეინ ოლლი! — ყვირის დარაჯი.

შემოესევა ხალხი.
— ცხვარიაშვილი!
— აქა ვარ!..
— მომილოცავს, ვაჟი შეგეძინა 12 გირვანქიანია. მე თითონ ვნახე.
— იცოცხლე, მადლობით!..
და დარაჯმა ხელში მაგრად მოკუმა ახალი ათმანეთიანი.

— ალი აბას ხუსეინ ოლლი ვინლაა?
— ზურდა ვარ.
— იახში ვაჟი შეგეძინათ, იოლდაშ!
— იაშასუნ იოლდაშ, სალოლ — ბეშმანათ ვარ! — და დარაჯმა ახალმოჭრილ თუმნიანს ხუთი მანეთიც მიაწება ზედ.

— ხულოლოშნიკ!
— ია?
— ვაშა ეენა დოჩქუ რადილა. ია სამ გლაზამი ვიდელ, სიჩას კორმილა.
— ნუ, შტოჟ... ოჩინ ხარაშო, უმენია უჟე პარა იხ ესტ.

დარაჯის თვალები უკმაყოფილოდ გაყვა კიბეზე ჩამავალ ხულოლოშნიკს, რომელსაც „მაყურჭის“ გაღება „დაავიწყდა“.
— ცერცვაძე!
— აქა ვარ!
— თქვენმა ცოლმა ვაჟი შობა, ორთავე ძალიან კარგად გრძნობენ თავს.
— მე აქ ცოლი კი არა მყავს, მე ბიძა ვარ მისი.

— კიდევ უკეთესი, ბიძა უფრო სარფიანი უნდა იყოთ! — და დარაჯის ხელს მოხვდა ქალღალდის საგანი, რომელზედაც ციფრი „5“ ეწერა.

— მარგიევი!
— აქა ვარ, სენი წირიმე!
— ქალი გყავს, ქალი!
— ჩემი არ არის, ამხანაგის ცოლია და გადავცემ. ხორზუ, ხორზუ.
დარაჯი მიღის. გამოდის ექიმი. მისცივილებიან: ცხვარიაშვილი, ცერცვაძე და სხვები.
— ამხ. ექიმო, როგორ არის ჩემი ცოლი, რა ეყოლა?
აყრიან კითხვებს.

— წუხელ მშობიარობას ადვილი არა ჰქონია, დღეისთვის მოველით, ყველანი საღამოზე შეიტყობთ შედეგს. — ამბობს ექიმი.
მელოგინეთა ნათესაეები უკმაყოფილოდ იშლებიან.

სოფელ მერჯვეის, მოგახსენებთ, კლუბი რამ გვაქვს „იშვიათი“, რეჟისორად თხა გვაყავს აქ და ასისტენტად კოჭლი ბატი.

გამგედ არის გიგოს ძროხა, კარისკაცად — ნიკოს ხარი, მოლარედ ზის მაშოს იხვი და კონტროლად, კეკეს ცხვარი.

ამას წინათ, თხამ კიკინამ კლუბში დასდგა „სამი გოჭი“, წარმოდგენის მსვლელობის დროს ჩამოვარდა ჭერის კოჭი...

და იმ კოჭსა ზედ ფიცარი დაემატა კიდევ ორი... რის შედაგად ცხრა დღით ადრე მოლოგინდა მაკე ლორი.

— „სამი გოჭი“, — სთქვა კიკინამ, — აქ ჩატარდა მშვენიერად, — კოჭლი ბატი გადაკოცნა, მიულოცა პრემიერა.

ასეთივე წარმოდგენა სხვა კლუბებშიც სამ-ოთხ დღეში, უეჭველად ჩატარდება — არგვეთსა და საირხეშიც.

კუკუკრი.

ღრუბლიან ღლაუბში


სადგურ ნავთლულში საათი არ არის (6 — 6ა)



სადგ. ნავთლულის მოლარე: — სადგურში საათი არ არის, არც მზე მოჩანს!.. და-

იწვა ჩემი გაჩენა: როდის გავალო ხალარო; როგორ გავიგო როდის გამოვა მატარებელი?!

ძნელოდლი.



— მაშ თქვენ სთქვით, რომ მსახიობობა ძნელი საქმეა?

— დიახ, განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს საჭიროებს ეს დარგი.

— თქვენ მსახიობი ხომ არა ხართ?

— არა, მაგრამ ძალიან დაახლოვებული ვარ თეატრთან, მიყვარს თეატრი. ძალიან იშვიათად თუ გავაცდენ წარმოდგენას. ზოგიერთ მსახიობს რომ უყურებ, სცენა სინამდვილედ წარმოგიდგება. იყო ასეთი შემთხვევა: საზღვარგარეთ, პარტერიდან მაყურებელმა მოჰკლა „იავოს“ როლის შემსრულებელი. ალბათ გავიწყობი გექნებათ ეს...

— კი, რაა არა!.. კიდევ კარგი, რომ ჩვენს თეატრებში არ სდგამენ მაგ იავოს წარმოდგენას თვარა...

— როგორ არ სდგამენ. ამას წინად იყო ნაჩვენები რუსთაველის თეატრში „ოტელო“, რომელიც დიდის წარმატებით ჩატარდა. აქ „იავოს“ როლი დაძლეული იყო.

— ოტელო? კი მოვიგონე, მარა რომელი

მსახიობი ქალი ასრულებდა ჰამლეტის როლს ოტელოში, მაინც ვერ გევიგე.

— თქვენ ხუმრობთ... რას იტყვით უდიდესი ძეგლია თუ არა ეს შექსპირისათვის? ყოველი ტიპი გენიალურად არის მოცემული ავტორის მიერ.

— მართალია! საერთოდ შოთა რუსთაველს ძალიან ეხერხება ასეთი შეუდარებელი ნაწარმოების წერა.

— რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის...

— თქვენ შეიძლება ისიც სთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის უკვდავი.

— ვინ ამბობს, უკვდავია. შოთას სახელს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც გენიალურ ჰუმანისტს, როგორც ბრწყინვალე შემოქმედს, მაგრამ... შექსპირიც, გოეთეც, შილერიც...

— კი შე კაცო, ჩვენებურ ხალხს რაა დაეკარგავთ.

— როგორ ჩვენებურს?!

— მეზობელ კრიტიკ... გამიგონია იტალია შექსპირი დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდაო, ცხენებსაც ინახავდაო... რა ძალიან ჰყვარებია.

— მაბატიეთ, თქვენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას ხომ არ აპირებთ?

— კი, გენაცვალე, წ. კ. უ. სალიკვიდაცო სკოლის მასწავლებელი ვარ და ცოდნის ამალღების გულობიზა მივალ თბილისს ქალაქში! ქე მაქ საშუალო განათლების ატესტატი, მარა რაფრად მოვიტმენ ზოგიერთსავით ტყუილუბრალოდ რომ ზილარიან. მივალ ორ კვირიან კურსებზე, დავწინაურდები იმდონობა ცოდნას ჩევიჯენ თავში, რომ ვერც ვწიკო!

— ალბათ მალე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ლექციებს წიკითხავთ თავგახადის სახელობის კურსებზე.

— ენახოთ, ჯერ არ ვიცი, დრო თუ მექნა... **სერგო კუბროსიანი.**

აშკარად უკუაქტიური რედაქციები

ლია წერილი გაც. „მუშის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის № 53-ში მოთავსებულ წერილის („უჩქარებელი რედაქტორები“) საპასუხოდ, — რაშიც აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ჩვენში დავვიანებით გამოდიან მთელი რიგი უურნალები და მათ შორის „ნიანგიც“, — აღვნიშნავთ, რომ შენიშვნა სწორია და რედაქციას მიღებული აქვს გადამწყვეტი ღონისძიება ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

რაც შეეხება თქვენს მიერ ამავე წერილში გაშვებულ შენიშვნას იმის შესახებ, რომ „ზოგიერთი რედაქტორების კალენდარი არ იფურცელდება...“ და აგრეთვე მას, თითქოს „ნიანგის“ რედაქციის ნომერი გამოვიდა 30 თებერვალს“, ჩვენ თვენგან გამოქვეყნებული წერილის პატივცემული ავტორის რჩევის თანახმად, დიდხანს ვფურცლეთ კალენდარი, მაგრამ 30 თებერვალი მაინც ვერ აღმოვაჩინეთ.

ნიანგი.

მოხარებაჟული კაცი

- მეზოვე, რატომ ეს ნაგავი არ გადაყარე?
- რა ექნა ნაგვის გამტანმა არ ჩამოიარა.
- მოთხარე ეზოში ორმო და ჩაყარე შიგ.
- შერე ორმოდან ამოღებული მიწა სად წავიღო.
- სულელო, ორმო ცოტა ღრმად მოთხარე და ნაგავიც ჩაყარე და მიწაც...

ჩვენი ფოსტა

ფაროელს—ზესტაფონი ნიანგი მეტად დააინტერესა თქვენმა „ანტო-ბიოგრაფ-(იამ), რასაც ლექსთან ერთად გვიგზავნით. ვაქვეყნებთ მცირე შემოკლებით:

ჩემი ანტო-ბიოგრაფია.

მე დავიბადე 1922 წ. სოფ...-ში (ორჯონიკიძის რაიონში) დომეტი... ძის ოჯახში. პირველად ვსტავლობდი დაწყებით სკოლაში შემდეგ კი გადავედი ქალაქ ზესტაფონის ფ/მ ქარხნის სკოლაში და ვსტავლობ 9 კლასშიდ.

გახოვ ნიანგო ნქვენს ნ-იკორებთან მახვილით მოვევლინო ყოველივე ჯულისახს.

ჩვენ ჯერჯერობით თვის ვიკავებთ იმ მამხილებელ მასალის მოთავსებისაგან, რასაც თქვენ დასახელებულ სკოლის მასწავლებლების შესახებ გვიგზავნით, რადგან თუ შევით მოყვანილ ავტობიოგრაფიის ავტორისთანა „მოშადებული“ მოწაფეები გადაყავთ მეცხრე კლასში, თქვენს პედაგოგებს „სასახელოდ“ ჯერჯერობით ეს ფაქტიც ეყოფათ.

რედაქციისაგან

ჩვენი ჟურნალის № 21-22-ში (1937 წ.) მოთავსებული ლექსი სათაურით „დავითიანის სიმღერა“, რომელიც ეხებოდა თელავის ფოსტის გამგეს აშხ. დავითიანს — არ დადასტურდა.



— გაიგე? პაპანინი მოუხსნიათ!..
 — მერე? ვინ დაუნიშნავთ მის ადგილზე?

2.08